

პროექტი №9

“ტექნიკური სისტემების საიმედოობის გათვლისა და ეფექტიანობის მაჩვენებლების პროგნოზირების თანამედროვე მეთოდების დამუშავება”.

პროექტის ხელმძღვანელი - კ. ოდიშარია

დაფინანსება – 10000 ლარი

ჩატარდა ტექნიკური მოწყობილობების და სისტემების საიმედოობის და ეფექტიანობის ამაღლების სხვადასხვა მეთოდების შედარებითი ანალიზი; დამუშავდა მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნას მომსახურების სისტემის უმნიშვნელოვანესი კლასი რეკონფიგურაციით, დროითი და აპარატურული სიჭარბით, რომელშიც შედიან მულტიპროცესორული და მრავალკომპიუტერიანი სისტემები, რომელიც განკუთვნილია პროცესების მართვის და კონტროლისათვის – დაწყებული გლობალური ქსელით და საბორტო სისტემებით დამთავრებული.

გაწეული კვლევითი სამუშაოს საფუძველზე: ა) გამოიცა მონოგრაფია: ზ. მიქაძე, ც. ნამჩევაძე, თ. ჭუმბურიძე “მასობრივი მომსახურების გამოთვლითი სისტემების ანალიზი”; ბ) ჟურნალში “КИБЕРНЕТИКА И СИСТЕМНЫЙ АНАЛИЗ” ISSN 0023-1274 (KIEV) დასაბეჭდად მიღებულია სტატია: კ. ოდიშარია, ნ. არაბული, თ. ჭუმბურიძე. “ON EMBEDDED MARKOVIAN PROCESSES WITH THE SUPPLEMENTARY VARIABLE”; გ) ჟურნალში “AUTOMATION AND REMOTE CONTROL” გამოსაქვეყნებლად მზადაა სტატია: თ. ჭუმბურიძე, კ. ოდიშარია “Анализ очереди к серверам с аппаратным и временным резервированием”.